საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ივერი აბაშიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	2	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი
თარიღი: 27.05.2021 წ.

ივერი აბაშიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და თავშეკავებული. ის პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, ამასთან, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ კოლეგებს შორის კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. აღსანიშნავია, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**14**	**20**	კანდიდატი მეტნაკლებად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ის მეტნაკლებად ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი

			თავისუფლებების მიმართულებით, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	კანდიდატს ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული და დამაჯერებელი, ამასთან, მხარეთათვის გასაგები. დაცულია კანონმდებლობით დადგენილი სტრუქტურა. კანდიდატს აქვს 15-წლიანი პროფესიული გამოცდილება.
წერის უნარი	19	20	თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს თანმიმდევრულად, გასაგებად და დასაბუთებულად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს გასაგებად და მეტნაკლებად დასაბუთებულად. მას აქვს განსხვავებული მოსაზრების მოთმენით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5	კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ის საკმაოდ აქტიურად ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო სასწავლო შეხვედრებს. თუმცა, კანდიდატი სათანადო სიხშირით არ ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს.
პროფესიული აქტივობა	2	5	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას. თუმცა, ის ხშირად ესწრება სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრას.
ქულათა ჯამი	**85**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის		

	კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, ივერი აბაშიძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ივერი აბაშიძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მას არ უფიქსირდება ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო მოძრაობის წესების დაუცველობისათვის დაკისრებული ჯარიმები კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ივერი აბაშიძე სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ვალდებულებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატს შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ის არის სამართლიანი და მიუკერძოებელი, რასაც ადასტურებენ კანდიდატის რეკომენდატორები და კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, მას არ გამოუვლენია რაიმე

	სახის შეუწყნარებლობა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, ივერი აბაშიძე არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** კანდიდატი არის თავშეკავებული და კორექტული, მისი ქცევა და იმიჯი შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. ივერი აბაშიძე სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ წარმოდგენილა მხარედ ან დაზარალებულად. ასევე, მის მიმართ არ ფიქსირდება სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** ივერი აბაშიძეს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია. რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად. გამოარჩევენ მის შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას, კომპეტენტურობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ მიიჩნევს მის ზედმეტ თავმდაბლობას. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** იმის გათვალისწინებით, რომ ივერი აბაშიძე კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ამასთან, კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ ივერი აბაშიძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u>

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი თუ ზოგადი ხასიათის შეკითხვა. კანდიდატი ცდილობდა სამართლებრივ საკითხებზე ემსჯელა დასაბუთებულად და ამომწურავად. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ უმეტესად მისი მსჯელობა მოკლებული იყო სამართლებრივ არგუმენტაციას და არ იყო სათანადოდ ამომწურავი.

კანდიდატთან გასაუბრების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ ის მეტნაკლებად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. თუმცა, კანდიდატმა ვერ ისაუბრა სამოქალაქო სამართლებრივი კუთხით არსებულ გამოწვევებზე.

ის მეტნაკლებად ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების მიმართულებით. ასევე, მართალია, გამოვლინდა, რომ კანდიდატი პერიოდულად ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, თუმცა არა სიღრმისეულად. ზოგიერთ საკითხთან მიმართებით კანდიდატს გაუჭირდა სათანადო მსჯელობის განვითარება, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ აბსოლუტურ უფლებებთან დაკავშირებით, კანდიდატმა იმსჯელა ზედაპირულად, მან ასევე, სათანადოდ ვერ განსაზღვრა უფლებებში ჩარევის ლეგიტიმურობის საფუძვლები.

გასაუბრების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ კანდიდატი არცთუ ისე აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს, მაგალითად, ბავშვის უფლებათა კოდექსს.

ასევე, კანდიდატს გაუჭირდა სამართლის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა.

საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვების განხილვის შედეგად მან დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაალოებით 64%.

<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

კანდიდატს ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული და დამაჯერებელი, ამასთან, მხარეთათვის გასაგები. გადაწყვეტილება სტრუქტურულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

კანდიდატს აქვს 15-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს დაახლოებით 3 - წლიან სამოსამართლო პრაქტიკას.

<u>წერის უნარი</u>

წერილობით თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს დასაბუთებულად, რაც მათ სძენს დამაჯერებლობას. ამასთან, მისი გადაწყვეტილებები არის მხარეთათვის მარტივად აღქმადი და გასაგები. კანდიდატს გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

კანდიდატი თავის პოზიციას აფიქსირებს ნათლად, გასაგებად და უმეტესად დასაბუთებულად. მას გააჩნია ემოციების მართვისა და განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.

<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში</u>

კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. თავის წარმოებაში არსებულ საქმეებს ის ეკიდება პასუხისმგებლობით და შესაბამისი ორგანიზებულობით, მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების სრული დაცვა (98,1%, 100%).

კანდიდატის პროფესიული გამოცდილება, მათ შორის, მოიცავს სასამართლოს მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებასაც, რაც ვფიქრობ, მეტყველებს

	კანდიდატის მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ის საკმაოდ აქტიურად ესწრება სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ სასწავლო შეხვედრას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილია, კანდიდატი უფრო აქტიურად და სიღრმისეულად გაეცნოს საკანონმდებლო სიახლეებს. კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა. 2010 წელს სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა სასამართლოს მენეჯერის სასწავლო კურსი და ჩააბარა პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდები. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას. თუმცა, ის ხშირად ესწრება პროფესიულ შეხვედრებს.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.